რკ მაშპრო

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 3

ზოგადი ინფორმაცია..... 3

ფინანსური ინფორმაცია ..... 4 - 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 4

საქმიანობის შედეგები..... 5

საზოგადოების საღრიცხვო პოლიტიკა..... 6- 10

მომზადების საფუძველი..... 6

ვალუტა..... 6

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები..... 7

სასაქონლო მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები..... 8

შემოსავლები და ხარჯები..... 9

გადასახადები..... 10

ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

რკ მაშპრო (ს/ნ 400037189) დაარსდა 2012 წლის 23 თებერვალს, გარდაქმნა განხორციელდა 2017 წლის 16 მაისს, დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია 2012 წლის 13 მარტიდან.

ამჟამად კოოპერატივის გამგეობის წევრების არიან შემდეგი პირები:

წევრი: ასია გაბრიელიან, 07001053157;

წევრი: ალექსან გოგორიან, 07001006983;

წევრი: ილონა გრიგორიანი, 01012015123;

წევრი: ანა ბერიძე, 01027080479;

წევრი: ალექსი ბერიძე, 01027028934;

წევრი: თინათინ ქობესაშვილი, 43001001571;

წევრი: ნიკოლოზ ხარაძე, 01008019255;

წევრი: ალბერტი ბერიძე, 13001045104;

წევრი: დავით ოგანეზოვი, 01027060909.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 01130 კოდის მიხედვით განსაზღვრული სოფლის მეურნეობის პროდუქციის - სოკოს მოყვანა-რეალიზაცია.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული შესაბამისობითა და დაცვით. კომპანია ცდილობს თავისი სამიანობით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეროვნული წარმოების განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლას და სამუშაო ადგილების შექმნას; უპირობოდ იხდის საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე მასზედ დაკისრებულ გადასახადებს. ასევე უპირობოდ ასრულებს სხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ინფორმაციების წარდენას.

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31-12-20	31-12-19
აქტივები	**1,819,817.2**	**1,171,280.0**
ფული და ფულის ეკვივალენტები	136,606.5	173,949.0
სავაჭრო მოთხოვნები	1,683,210.7	997,331.0
მარაგები	**288,153.2**	**677,973.0**
მზა პროდუქცია	34,938.3	296,137.0
სხვა	253,215.0	381,836.0
სხვა მიმდინარე აქტივები	555,218.4	504,744.0
ბიოლოგიური აქტივები (ძირითადი საშუალებები)	**2,842,189.1**	**3,158,166.0**
სხვა არამატერიალური აქტივები	2,725.1	3,206.0
ძირითადი საშუალებები	2,839,464.0	3,154,960.0
სულ აქტივები	**5,505,377.9**	**5,512,163.0**

ვალდებულებები და კაპიტალი		
სავაჭრო ვალდებულებები	760,616.2	506,288.0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	59,827.7	4,369.0
საგადასახადო ვალდებულებები	9,708.8	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,446,489.0	2,406,948.0
სხვა ვალდებულებები		50,130.0
სულ ვალდებულებები	**3,276,641.8**	**2,967,735.0**
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	332,000.0	332,000.0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,554,075.1	1,869,767.0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	342,661.0	342,661.0
სულ საკუთარი კაპიტალი	**2,228,736.1**	**2,544,428.0**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**5,505,377.9**	**5,512,163.0**

ზურა იაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ინფორმაცია

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**2020**	**2019**
ნეტო ამონაგები	**1,783,806.5**	**3,283,576.0**
საქონლის გაყიდვიდან	1,783,806.5	3,283,576.0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**- 1,123,303.8**	**- 1,859,175.0**
საერთო მოგება	**660,502.7**	**1,424,401.0**
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 114,931.1	- 124,860.0
ცვეთა და ამორტიზაცია	- 197,796.6	- 219,774.0
საპროცენტო ხარჯი :	- 260,812.4	- 230,740.0
იჯარის ხარჯი	- 21,234.4	- 22,352.0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 266,035.7	- 154,139.0
სულ საოპერაციო ხარჯები	**- 860,810.2**	**- 751,865.0**
საოპერაციო მოგება	**- 200,307.6**	**672,536.0**
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	- 115,384.3	102,535.0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**- 315,691.9**	**775,071.0**
მოგება/(ზარალი)	**- 315,691.9**	**775,071.0**
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**- 315,691.9**	**775,071.0**
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,544,428.0	1,769,357.0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**2,228,736.1**	**2,544,428.0**

ზურა იაშვილი
მთავარი ბუღალტერი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

შპს თეთრი ქუდის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"). კომპანიის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი რომელიც იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნების მიზნით.

ვალუტა

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს, შესაბამისად ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა მოცემულია ლარში.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები

სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. მსს ფასს სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შეფასებისთვის. შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძვლიდან, პირვანდელი ღირებულებიდან და რეალური ღირებულებიდან საწარმო იყენებს პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდს.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

სასაქონლო მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი. საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული ასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

კომპანია უპირობოდ იხდის საქართველოს კანონმდებლობით მასზედ დაკისრებულ კუთვნილ გადასახადებს.